მარიამ მარგიანი

გლობალიზაცია და ეკონომიკური განვითარების ტენდენციები

მარიამ მარგიანი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ტერმინი „გლობალიზაცია“ პირველად 1983 წელს ტ.ლევიტმა გამოიყენა ერთ-ერთ სტატიაში. გლობალიზაცია გულისხმობს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პროცესების ერთობლიობას. ნაშრომში განვიხილავ გლობალიზაციის არსს, მის დადებით და უარყოფით მხარეებს, იმას თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს გლობალიზაციურ პროცესებს ეკონომიკურ განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ეროვნული ეკონომიკა, ტენდენცია, პოლიტიკური სოციალური.

შესავალი

გლობალიზაცია გულისხმობს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური , ეკონომიკური და კულტურული პროცესების ერთობლიობას. თვითონ ტერმინი „გლობალიზაცია“ საკმაოდ ახალია. იგი უკავშირდება ტ.ლევიტის , ამერიკელი მეცნიერის სახელს, რომელმაც ეს ტერმინი 1983 წელს სტატიაში გამოიყენა ცალკეულ110ი ბაზრების შერწყმის მოვლენის აღსაწერად. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გლობალიზაციის პროცესები მანამდე არ მიმდინარეობდა, ეს პროცესები ბევრად ადრე დაიწყო (ბერძნული კოლონიზაციის პროცესი, როდესაც ბერძნები თავიანთ კულტურას ავრცელებდნენ სხვა ქვეყნებში), მხოლოდ არა ამ სახელით. გლობალიზაციის ერთიანი განმარტება შემუშავებული არ არის. მეცნიერებს გააჩნიათ სხვადასხვა დამოკიდებულება და ხედვა გლობალიზაციურ პროცესებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ მათ მიერ განსაზღვრული განმარტებებიც ერთმანეთისგან განსხვავდება.

ძირითადი ტექსტი

ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარე ფაქტორები. მაგალითისთვის რომ განვიხილოთ ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები და ქვეყნის ჩართვა საერთაშორისო ვაჭრობაში, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ვაჭრობის შედეგად ქვეყანას აქვს მეტი შესაძლებლობები და უფრო დიდი არჩევანი. აღნიშნული პროცესების შედეგად თითოეულ ქვეყანას ეძლევა შესაძლებლობა გამოიყენოს არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით არსებული რესურსები, არამედ სხვა ქვეყნების რესურსებიც (რომლებთანაც მას აქვს სავაჭრო ურთიერთობა), მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა მოთხოვნა ჩამოაყალიბოს ბაზარზე წარმოდგენილი მრავალფეროვანი საქონლისა და მომსახურების შედეგად, ეს მრავალფეროვნება კი სწორედ იმითაა განპირობებული რომ ქვეყნის წარმოება არ მთავრდება მის საზღვრებთან, დანარჩენ მსოფლიოს კი ყოველთვის მეტის წარმოება შეუძლია.

ყველა ვთანხმდებით რომ კონკურენცია ბაზრისთვის კარგია. ის ხელს უწყობს საბაზრო მექანიზმს თავისი ფუნქციის შესრულებაში – მოიყვანოს ბაზარი წონასწორობაში. გარდა იმისა რომ კონკურენციის შედეგად ხდება მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილება მათთვის მისაღებ ფასებში, საფუძველი ეყრება ინოვაციებსა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, რაც ასევე დადებით გავლენას ახდენს როგორც ეკონომიკაზე, ასევე მის განვითარებასა და ზრდაზე.

ახლა კი წარმოიდგინეთ რა მოხდება როდესაც დავიწყებთ კონკურენციის განხილვას არა მხოლოდ ქვეყნის, არამედ მსოფლიოს მასშტაბით. ბუნებრივია ასეთ დროს უნდა ველოდეთ, რომ გაიზრდება ინოვაციებისა თუ ახალი ტექნოლოგიების, ამასთანავე წარმოებისათვის საჭირო რესურსების რიცხვი და ა.შ, რაც

ეკონომიკის განვითარებას ხელს შეუწყობს იმაზე მეტად, ვიდრე ეს იქნებოდა შესაძლებელი ქვეყნის საზღვრებს შიგნით.

თუმცა ზემოთქმულის მიუხედავად, ამასაც აქვს უარყოფითი მხარე და მასზე მიუთითებენ კიდეც ეკონომიკის გლობალიზაციის მოწინააღმდეგენი. საქმე ისაა, რომ ხშირად საერთაშორისო ვაჭრობის შედეგად „იჩაგრებიან“ ადგილობრივი მწარმოებლები და არ შესწევთ უნარი კონკურენცია გაუწიონ სხვა ქვეყნის მწარმოებლებს. თუმცა ეს უნდა გავიგოთ არა როგორც უარყოფითი მხარე და დადასტურება იმისა რომ გლობალიზაცია უარყოფითი მოვლენაა, არამედ უნდა აღვიქვათ როგორც სტიმული, მოტივაცია იმისა, რომ ქვეყნებმა შეძლონ სწორი პოლიტიკის, შემზღუდველი თუ ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება საჭირო დროსა და ვითარებაში და გლობალიზაციური პროცესებიდან მიიღონ მაქსიმალური სარგებელი.

ეკონომიკურ განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ასევე ტექნოლოგიურ განვითარებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, დაგროვილ გამოცდილებასა და ა.შ. ამ საკითხშიც შესაძლებელია დავინახოთ გლობალიზაციური პროცესების დადებითი ეფექტები. ამ დროს თითოეული ქვეყნისათვის ხელმისაწვდომია არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის შიგნით მიღწეული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ტექნოლოგიები ან დაგროვილი გამოცდილება, არამედ მათ წვდომა აქვთ მთელი მსოფლიოს ცოდნასა და გამოცდილებაზე. რაც ასევე ხდება საფუძველი იმისა, რომ ეროვნული ეკონომიკა მეტად განვითარდეს და გადავიდეს თვისებრივად ახალ, უფრო სრულყოფილლ მდგომარეობაში.

გლობალიზაციური პროცესების შედეგად ასევე თითოეულ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა ამა თუ იმ სიტუაციაში მიიღოს ფინანსური დახმარებები სხვა ქვეყნებისგან, რაც ხელს უწყობს და ეხმარება ქვეყანას როგორც ქვეყნის შიგნით მიმდინარე კრიზისის დაძლევაში, ასევე საფუძველს უყრის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას.

დასკვნა

გლობალიზაციურ პროცესებთან და უფრო კონკრეტულად მის შედეგებსა და გავლენასთან დაკავშირებით ერთიანი აზრი არ არსებობს, მას ყავს როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები, რომლებიც საუბრობენ გლობალიზაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე. ანალოგიურად, გლობალიზაციას შეუძლია ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, ან უარყოფითი გავლენის მოხდენა თითოეული ქვეყნის ეკონომიკაზე.

გლობალიზაციური პროცესები ხელს უწყობს ადამიანთა ცხოვრების რეალური დონის ამაღლებას, წარმოების შესაძლებლობების გაზრდას, წარმოებული საქონლისა და მომსახურების მრავალფეროვნებას, ასევე ინოვაციებსა და ტექნოლოგიურ მიღწევებს, რაც ასევე დადებითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკასა და მის განვითარებაზე. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციის საერთო ეფექტი დადებითია, ამ ეფექტისგან სარგებელს ქვეყნები სხვადასხვანაირად იღებენ და სარგებლიანობის ხარისხის დონეები მათთვის განსხვავებულია. ყოველივე ამის გათვალისწინებით მაინც ვთვლი, რომ გლობალიზაციური პროცესების შედეგად ქვეყნების ეკონომიკები მეტად ვითარდება, ვიდრე ამ პროცესების არარსებობისას. უბრალოდ საჭიროა სამართლიანი გლობალიზაციის ხელშეწყობა, ლიდერი სახელმწიფოების მხრიდან სწორი გადაწყვეტილებების მიღება, თითოეული სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინება და სიფრთხილე ამა თუ იმ ღონისძიების გატარებისას. შედეგად კი მივიღებთ ცხოვრების მაღალ დონეს, განვითარებულ ეკონომიკებს , საყოველთაო კეთილდღეობის ზრდას და მოკლედ რომ ითქვას თითოეული ქვეყნის არსებული ვითარების გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ.აბესაძე „ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი. თბ., "თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2015;
2. პ.კრუგმანი, მ.ობსტფელდი, მ.მელიტცი „საერთაშორისო ეკონომიკა";
3. („გლობალიზაციის არსი") https://globalizationdotcom.wordpress.com/2018/01/10/first-blog-post/
4. (გლობალიზაცია) http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3300
5. („გლობალური ინდექსები – გლობალური სამყაროს საზომები", მ.ბლიაძე) http://mastsavlebeli.ge/uploads/Indeqsebi.pdf
6. („The Role of Globalization in Economic Development" , by Brandon Levy) https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2233648#:~:text=Globalization%20is%20the%20process%20of,overall%20improved%20quality%20of%20life.

Globalization and economic development trends

Mariam Margiani, PhD student
Georgian Technical University

Summary

The term "globalization" was first used in 1983 by T. Levitt in one of his articles. Globalization refers to the combination of current political, social, economic and cultural processes in the world. In this paper, I discuss the essence of globalization, its pros and cons, and what impact globalization processes can have on economic development.

Globalization, national economy, trend, political, social.